



Accountants &  
business advisers

## შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების  
შესაბამისად მომზადებული

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
და

დამოუკიდებელი აუდიტორების ანგარიში

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე .....	4
დამოუკიდებელი აუდიტორების ანგარიში .....	5
კონსოლიდირებული ბალანსი .....	6
კონსოლიდირებული სრული შემოსულობების ანგარიშგება .....	7
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების ანგარიშგება .....	8
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება .....	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები .....	10
ზოგადი ინფორმაცია.....	10
წარდგენის საფუძვლები.....	10
შესაბამისობის განცხადება .....	10
მომზადების საფუძვლები.....	10
კონსოლიდაციის საფუძვლები .....	10
ახალი და განახლებული სტანდარტების მიღება .....	11
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები.....	12
ძირითადი საშუალებები.....	12
საინვესტიციო ქონება .....	13
არაფინანსური აქტივების გაუფასურება.....	14
ინვესტიციები და სხვა ფინანსური აქტივები.....	14
სადაზღვევო მოთხოვნები.....	16
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები .....	16
ფული და ფულის ეკვივალენტები.....	16
სადაზღვევო პროდუქტების კლასიფიკაცია.....	16
სადაზღვევო ვალდებულებები .....	17
სესხები.....	18
სესხთან დაკავშირებული დანახარჯები .....	18
ფინანსური აქტივების გაუფასურება.....	18
სხვა რეზერვები.....	19
იჯარა .....	19
შემოსავლების აღიარება.....	19
საერთო დაზღვევა .....	20
გადაზღვევა.....	21
საპროცენტო ხარჯები .....	22
საკომისიო ხარჯები.....	22
გადასახადები.....	22

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება .....	23
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, დაშვებები და მსჯელობები.....	24
გადავადებული მოგების გადასახადი.....	24
პირითადი საშუალებები .....	25
გადაზღვევის აქტივები.....	26
სადაზღვევო მოთხოვნები .....	26
ფული და ფულის ეკვივალენტები .....	27
სააქციო კაპიტალი .....	28
სადაზღვევო ვალდებულებები.....	28
სესხები.....	33
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	33
წმინდა პრემია.....	34
საინვესტიციო შემოსავალი .....	35
გადახდილი ზარალები.....	35
ფინანსური ხარჯები .....	35
სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები .....	36
საექვო ვალების ხარჯები .....	36
მოგების გადასახადის ხარჯები .....	36
ფინანსური ინსტრუმენტები, რისკების მართვა და სადაზღვევო რისკი .....	36
მმართველობითი ჩარჩოები.....	36
მარეგულირებელი ჩარჩოები.....	36
აქტივების და ვალდებულებების მართვის (ALM) სისტემა .....	37
(ა) სადაზღვევო რისკი.....	37
(ბ) ფინანსური რისკები.....	43
მენეჯმენტის ანაზღაურება .....	47
მენეჯმენტის ანაზღაურება .....	47
დაკავშირებულ მხარეების ტრანსაქციები .....	48
განუსაზღვრელობები და პირობითი ვალდებულებები.....	48
სასამართლო დავები.....	48
აღებული ვალდებულებები.....	48
საანგარიშო თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები .....	48

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც წარმოდგენილია 6-დან 48-ე გვერდის ჩათვლით, პასუხისმგებელია შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაოს ხელმძღვანელობა. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამობები და დარღვევები.

2011 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია:

ვახტანგ დეკანოსიძე

გენერალური დირექტორი

შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო



ნატა მალიშვილი

მთავარი ბუღალტერი

შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო

თარიღი: 2012 წლის 16 მაისი

დამოუკიდებელი აუდიტორების ანგარიში  
შპს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია ირაო

#### ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიკაცია

1. ჩვენ ჩავატარეთ შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაოს და მისი 100%-იანი შეიღობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც წარმოდგენილია 6-დან 48-ე გვერდის ჩათვლით, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ბალანსს 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

#### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

2. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკების შერჩევას, მათ მიზანმიმართულად გამოყენებას და სიტუაციისათვის შესაბამისი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

#### აუდიტორის პასუხისმგებლობა

3. ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრება წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

4. აუდიტი მოიცავს პროცედურებს აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. კონკრეტული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, რაც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომებით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკის შეფასებას. რისკის ასეთი შეფასებისას, აუდიტორი განიხილავს იმ შიდა კონტროლის მექანიზმებს, რომელიც მნიშვნელოვანი და შესაფერისია კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რათა დაგეგმოს არსებული პირობებისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოხატოს საკუთარი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე მოიცავს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაფერისობის შეფასებასა და მენეჯმენტის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობის, ასევე მთლიანობაში ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

5. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

#### მოსაზრება

6. ჩვენი აზრით ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი საკითხის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრისათვის, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

2012 წლის 16 მაისი

PKF Georgia LLC

PKF Georgia LLC

Address: 85, Paliashvili str., 0162, Tbilisi, Georgia

Tel: +995 32 2 24 30 30 | 2 24 30 31


Fax: +995 32 2 93 57 94 | E-Mail: [pkf@pkfgeorgia.com](mailto:pkf@pkfgeorgia.com) | URL: [www.pkfgeorgia.com](http://www.pkfgeorgia.com)

შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო  
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
 2011 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 კონსოლიდირებული ბალანსი  
 თანხები მოცემული ათას ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

აქტივები	შენიშვნა	31-12-11	31-12-10
		GEL'000	GEL'000
ძირითადი საშუალებები	6	16,049	1,348
არამატერიალური აქტივები		70	110
გადავადებული საგადასახადო აქტივი	5	2,483	1,870
გადავადებული აქციონერი ხარჯი	9	650	854
სესხები და მისაღები პროცენტები	10	245	305
გასაყიდად გამოწვლილი გრძელვადიანი აქტივი		83	83
წინასწარგადახდები	11	7,271	4,761
გადაზღვევის აქტივი	7	2,415	15,827
სადაზღვევო დებიტორები	8	8,520	12,851
საბანკო დეპოზიტები		7,954	5,584
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	2,814	2,899
<b>სულ აქტივები</b>		<b>48,554</b>	<b>46,492</b>
<b>კაპიტალი</b>			
მფლობელთა კაპიტალი	13	6,388	4,220
აკუმულირებული ზარალი		(4,042)	(2,671)
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>2,346</b>	<b>1,549</b>
<b>სადაზღვევო ვალდებულებები</b>	14		
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი		9,303	24,801
გაცხადებული მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი		3,611	5,597
მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი		1,818	1,309
<b>სხვა ვალდებულებები</b>			
გადაზღვევის ვალდებულებები		920	1,086
მიმდინარე მოგების გადასახადი		-	455
სესხები	15	29,374	7,892
სავაჭრო ვალდებულებები	16	1,180	3,802
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>46,206</b>	<b>44,943</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>48,554</b>	<b>46,492</b>

  
 ვახტანგ დევანოსიძე  
 გენერალური დირექტორი  
 თარიღი: 16 მაისი, 2012




  
 ნატა ნალიძევა  
 მთავარი ბუღალტერი

შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო  
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
 2011 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგება  
 თანხები მოცემული ათას ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

	შენიშვნა	2011 GEL'000	2010 GEL'000
<b>შემოსავლები</b>			
მოზიდული პრემია		20,243	52,941
მინუს: გადამზღვევლის კუთვნილი პრემია		(538)	(26,443)
წმინდა მოზიდული პრემია		19,705	26,498
გამომუშავებული პრემიის რეზერვის ცვლილება, წმინდა		2,790	8,870
<b>წმინდა გამომუშავებული პრემია</b>	17	22,495	35,368
საკომისიო შემოსავლები		350	2,463
საინვესტიციო შემოსავალი	18	1,465	798
სხვა შემოსავალი		33	175
<b>სულ შემოსავალი</b>		<b>24,343</b>	<b>38,804</b>
<b>ხარჯები</b>			
ანაზღაურებელი ზარალები, გროსი	19	(20,738)	(22,877)
გადამზღვევის მიერ ანაზღაურებელი ზარალები		1,629	2,622
ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში, გროსი		1,477	316
ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში, გადამზღვევლის წილი		(703)	537
<b>წმინდა ზარალები</b>		<b>(18,335)</b>	<b>(19,402)</b>
ფინანსური ხარჯები	20	(1,281)	(230)
საკომისიო ხარჯები		(2,102)	(2,328)
აკვიზიციური ხარჯები		(204)	(990)
გადავადებული აკვიზიციური ხარჯების ცვლილება		-	(1,042)
საექვო ვალების ხარჯი	22	(2,260)	(2,105)
ავანსების გაუფასურების ხარჯი		-	(5,294)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(1,928)	(9,709)
<b>სულ ხარჯები</b>		<b>(26,110)</b>	<b>(41,099)</b>
<b>მოგება დაზღვევამდე</b>		<b>(1,767)</b>	<b>(2,295)</b>
მოგების გადასახადი	23	397	(542)
<b>პერიოდის წმინდა მოგება</b>		<b>(1,370)</b>	<b>(2,837)</b>

  
 ეახტანგ დეკანოსიძე  
 გენერალური დირექტორი  
 თარიღი: 16 მაისი, 2012



  
 ნატა მალიშვილი  
 მოვარზ ბუღალტერი


10-დან 48-ე გვერდის ჩათვლით მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო  
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
 2011 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 კონსოლიდირებული ფულადი სახსრების ანგარიშგება  
 თანხები მოცემული ათას ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

	2011	2010
	GEL'000	GEL'000
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
გადახდილი სადაზღვევო პრემია	24,134	40,439
გადახდილი გადაზღვევა	(2,062)	(15,602)
<b>გადახდილი ზარალები</b>	<b>(18,320)</b>	<b>(25,539)</b>
გადაზღვევლის მიერ გადახდილი ზარალები	604	11,819
გადახდილი აკვიზიციური ხარჯი	(860)	-
გადახდილი ხელფასები	(2,213)	(3,046)
მომწოდებლებისთვის გადახდილი თანხები	(1,520)	(2,709)
მიღებული პროცენტი	(832)	(2,150)
გადახდილი საოპერაციო გადასახადები	-	564
მცირე ვადანი ინვესტიციის შეძენა(დეპოზიტი ბანკში)	(2,728)	(406)
სხვა საოპერაციო ხარჯის გადახდა	(752)	(1,877)
სხვა საოპერაციო შემოსავლის მიღება	563	29
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტის და გადასახადის გადახდამდე</b>	<b>(3,987)</b>	<b>1,520</b>
გადახდილი პროცენტი	(11)	(31)
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,001)	(879)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>(4,999)</b>	<b>610</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(17,660)	(3,822)
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	(1,647)	(1,708)
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები	22,001	-
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>2,695</b>	<b>(5,530)</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>		
კაპიტალში შენატანი	2,168	-
მიღებული სესხები	63,697	5,633
გაცემული სესხები	(63,423)	(200)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>	<b>2,442</b>	<b>5,433</b>
<b>ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (კლება)</b>	<b>138</b>	<b>513</b>
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	2,898	2,458
საკურსო სხვაობის შედეგი	(221)	(72)
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>	<b>2,815</b>	<b>2,899</b>

  
 ვახტანგ ლევანოსიძე  
 გენერალური დირექტორი  
 თარიღი: 16 მაისი, 2012




  
 ნატა მალიაშვილი  
 მთავარი ბუღალტერი

10-დან 48-ე გვერდის ჩათვლით მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.




შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო  
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
 2011 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  
 თანხები მოცემული ათას ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწი ლებელი მოგება	სულ კაპიტალი
	GEL'000	GEL'000	GEL'000
<b>ნაშთი 2011 წლის 1 იანვრისთვის</b>	<b>4,220</b>	<b>(2,671)</b>	<b>1,550</b>
კაპიტალის შევსება	2,168	-	2,168
წმინდა პერიოდის შედეგი	-	(1,370)	(1,370)
<b>ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრისათვის</b>	<b>6,388</b>	<b>(4,041)</b>	<b>2,347</b>
<b>ნაშთი 2010 წლის 1 იანვრისთვის</b>	<b>4,220</b>	<b>2,593</b>	<b>6,814</b>
დივიდენდების განაწილება	-	(2,427)	(2,427)
პერიოდის წმინდა შედეგი	-	(2,837)	(2,837)
<b>ნაშთი 2010 წლის 31 დეკემბრისათვის</b>	<b>4,220</b>	<b>(2,671)</b>	<b>1,550</b>



ვასტანგ დეგანოსიძე  
 გენერალური დირექტორი  
 თარიღი: 16 მაისი, 2012



  
 ჩიტა მალიშვილი  
 მთავარი ბუღალტერი

10-დან 48-ე გვერდის ჩათვლით მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია“ ან „ირაო“) შეიქმნა საქართველოში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სადაზღვევო ბიზნესის წარმოება საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია ალ. ყაზბეგის 46. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია TBIF Financial Services Group N.V.

ირაო მედი დაფუძნდა 2010 წელს მისი წილის 100% მფლობელია საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია ირაო. 2011 წლის განმავლობაში ირაო მედის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა მშენებლობა, კერძოდ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ირაო მედმა ააშენა ან შეაკეთა 6 საავადმყოფო საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

### შენიშვნა 2. წარდგენის საფუძვლები

#### 2.1 შესაბამისობის განცხადება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ევროკავშირის მიერ აღიარებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

#### 2.2 მომზადების საფუძვლები

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მონაცემები წარდგენილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა საინვესტიციო ქონებისა, რომელიც რეალური ღირებულებით არის წარდგენილი. ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარებში და ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუკი ტექსტში სპეციალურად არ არის მითითებული სხვა რამ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების გათვალისწინებით, რომ მომავალში „ჯგუფი“ თავის ფუნქციონირებას განაგრძობს როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღისთვის დამფუძნებელი კომპანიის დირექტორთა საბჭოსთვის ცნობილი არ იყო ისეთი ფაქტი ან ვითარება, რომელიც მიუთითებდა რაიმე საფრთხის შესახებ, რომელიც ჯგუფის უწყვეტ ფუნქციონირებას ხელს შეუშლიდა.

#### 2.3 კონსოლიდაციის საფუძვლები

შვილობილი საწარმოები წარმოადგენენ ისეთ კომპანიებს, რომელშიც „ჯგუფს“ ნახევარზე მეტი ხმის უფლება აქვს ან სხვა მხრივ გააჩნია შესაძლებლობა მართოს მათი ფინანსური ან საოპერაციო პოლიტიკა ისე, რომ სარგებელი მიიღოს მათი საქმიანობიდან. სხვა საწარმოზე „ჯგუფის“ კონტროლის არსებობის განხილვისას გათვალისწინებულია ისეთი პოტენციური ხმის უფლების არსებობაც (და ამ ფაქტის გავლენა კონტროლის შესაძლებლობაზე), რომლის ახლა გამოყენება უკვე შესაძლებელია. შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება იმ მომენტიდან, როცა „ჯგუფი“ მოიპოვებს მათზე კონტროლს და წყდება მას შემდეგ, რაც „ჯგუფი“ დაკარგავს კონტროლს.

## შენიშვნა 2. წარდგენის საფუძვლები (გაგრძელება)

### 2.3 კონსოლიდაციის საფუძვლები (გაგრძელება)

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სათაო კომპანიის და შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები კონსოლიდირებულია მათი ანგარიშგებების შესაბამისი ელემენტების - აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლების და ხარჯების - ერთმანეთთან მიმატების გზით. იმისათვის, რომ კონსოლიდირებული ანგარიშგება წარდგენილი იყოს ისე, როგორც ერთი ეკონომიკური სუბიექტის ანგარიშგება, კონსოლიდაციის პროცესში ხდება შემდეგი:

- a) შვილობილ კომპანიებში სათაო კომპანიის ინვესტიციის საბალანსო ღირებულება იქვითება შვილობილი კომპანიის კაპიტალში სათაო კომპანიის წილის საპირისპიროდ;
- b) ყველა შიდაჯგუფური ბალანსი და ოპერაცია, შემოსავლების, ხარჯების და დივიდენდების ჩათვლით სრულად ელიმინირებულია კონსოლიდაციის პროცესში. მოგება და ზარალი წარმომოხილი შიდაჯგუფური ოპერაციებიდან, რომლებიც ჩაირთვება აქტივებში, მაგალითად მარაგებში და ძირითად საშუალებებში, ასევე სრულად ელიმინირებულია.

შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები მზადდება იმავე საანგარიშგებო წლისათვის, როგორც სათაო კომპანიის ანგარიშგება და მათი მომზადებისას იგივე სააღრიცხვო პოლიტიკები გამოიყენება რაც სათაო კომპანიაში.

### 2.4 ახალი და განახლებული სტანდარტების მიღება

*A. 2011 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის ძალაში შემავალი ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები*

2011 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის ძალაში შემავალ არცერთ ახალ სტანდარტს არ აქვს მატერიალური გავლენა კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე.

*B. ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში 2011 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის და არც მოთხოვნილ ვადაზე ადრეა ჯგუფის მიერ მიღებული*

ფას 7-ის, „ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“, ცვლილებები. ჯგუფს ჯერ სრულად არ შეუფასებია ცვლილებების გავლენა საკუთარ ანგარიშგებაზე და აპირებს გაითვალისწინოს შესაბამისი ცვლილებები არაუგვიანეს 2012 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ფას 9, „ფინანსური ინსტრუმენტები“. ჯგუფს ჯერ სრულად არ შეუფასებია ამ ახალი სტანდარტის გავლენა საკუთარ ანგარიშგებაზე და აპირებს გაითვალისწინოს იგი არაუგვიანეს 2013 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ფას 10, „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“. ჯგუფს ჯერ სრულად არ შეუფასებია ამ ახალი სტანდარტის გავლენა საკუთარ ანგარიშგებაზე და აპირებს გაითვალისწინოს იგი არაუგვიანეს 2013 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ფას 11, „ერთობლივი საქმიანობა“. ჯგუფს ჯერ სრულად არ შეუფასებია ამ ახალი სტანდარტის გავლენა საკუთარ ანგარიშგებაზე და აპირებს გაითვალისწინოს იგი არაუგვიანეს 2013 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდისათვის.

## შენიშვნა 2. წარდგენის საფუძვლები (გაგრძელება)

### 2.4 ახალი და განახლებული სტანდარტების მიღება (გაგრძელება)

ფასს 12, „სხვა საწარმოებში ინვესტიციების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები“. ჯგუფს ჯერ სრულად არ შეუფასებია ამ ახალი სტანდარტის გავლენა საკუთარ ანგარიშგებაზე და აპირებს გაითვალისწინოს იგი არაუგვიანეს 2013 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ფასს 13, „რეალური ღირებულებით გაზომვა“. ჯგუფს ჯერ სრულად არ შეუფასებია ამ ახალი სტანდარტის გავლენა საკუთარ ანგარიშგებაზე და აპირებს გაითვალისწინოს იგი არაუგვიანეს 2013 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ფასს 12-ის, „მოგებიდან გადასახადები“, ცვლილებები. ჯგუფს ჯერ სრულად არ შეუფასებია ცვლილებების გავლენა საკუთარ ანგარიშგებაზე და აპირებს გაითვალისწინოს შესაბამისი ცვლილებები არაუგვიანეს 2012 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ფასს 19, „თანამშრომელთა სარგებელი“, შეიცვალა 2011 წელს. ცვლილებას არ აქვს გავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ჯგუფმა განსაზღვრა ის სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია მისი ბიზნეს ტრანზაქციებისათვის და მისი საქმიანობის შედეგების სწორად გაგებისათვის. ეს არის ის პოლიტიკები, რომლებიც მოიცავს ყველაზე კომპლექსურ ან სუბიექტურ გადაწყვეტილებებს და შეფასებებს და დაკავშირებულია სადაზღვევო კონტრაქტებთან და საინვესტიციო ვალდებულებებთან, გადავადებულ აკვიზიციურ ხარჯებთან, გადაზღვევის აქტივების, ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების შეფასებასთან და გაუფასურების ზარალის განსაზღვრასთან. ყველა ამ ელემენტის შეფასება მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური შედეგის განსაზღვრისათვის და ეს შეფასება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს ხელმისაწვდომი მონაცემებისა და ინფორმაციის საფუძველზე კომპლექსური შეფასებების გაკეთებას და მსჯელობებს. რამდენადაც ეს შეფასებები აუცილებლად მოითხოვს და გულისხმობს სხვადასხვა სახის დაშვებებისა და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებას მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლოა შეიცვალოს და არ დაემთხვეს ხელმძღვანელობის შეფასებებს, ამდენად განსხვავებული დაშვებებისა და მონაცემების გამოყენებამ შესაძლოა არსებითად განსხვავებული შედეგები მოგვცეს.

### A. ძირითადი საშუალებები

გრძელვადიანი მატერიალური აქტივები, რომლებიც არ კვალიფიცირდება საინვესტიციო ქონებად წარდგენილია თვითღირებულებით, რომელშიც არ არის ჩართული ყოველდღიური შეკეთებისა და მოვლის ხარჯები და რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთისა და აკუმულირებული გაუფასურების თანხებით. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

თვითღირებულება მოიცავს იმ დანახარჯებს, რომელიც უშუალოდ მიეკუთვნება აქტივების შეძენას და აუცილებელია მათი გამიზნული გამოყენებისათვის შესაფერის ადგილას და მდგომარეობაში მოსაყვანად. ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით არის გამოანგარიშებული შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

**შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)**

**A. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)**

შენობები	20-50 წელი	2%-5%
კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	3-5 წელი	20%-33%
კაპიტალიზირებული ხარჯები	3-5 წელი	20%-33%
ავტომობილები	2-7 წელი	14%-50%
სავაადმყოფოს აღჭურვილობა	7-10 წელი	10%-14%

ძირითადი საშუალების ჩამოწრა ხდება მისი გაყიდვისთანავე ან როცა მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად მომავალი ეკონომიური სარგებლის მიღება ნავარაუდევია აღარ არის. აქტივის ბალანსიდან ჩამოწრით მიღებული მოგება ან ზარალი (გაანგარიშებულია როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსულობასა და აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის) გათვალისწინებულია იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როცა აქტივის ჩამოწრა მოხდა.

**B. საინვესტიციო ქონება**

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით. საბალანსო ღირებულება მოიცავს აქტივის ნაწილის გამოცვლასთან დაკავშირებულ დანახარჯებსაც, თუკი ეს დანახარჯები აქტივად აღიარების კრიტერიუმს აკმაყოფილებენ. მაგრამ არ მოიცავს საინვესტიციო ქონების ყოველდღიური მომსახურების და მიმდინარე შეკეთების დანახარჯებს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ საინვესტიციო ქონება აღრიცხება მისი რეალური ღირებულებით და ბალანსში წარდგენილია ბალანსის თარიღისათვის არსებული რეალური ღირებულებით. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებიდან მიღებული მოგება ან ზარალი ჩაირთვება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, რომელშიც მოხდა ცვლილება.

საინვესტიციო ქონების ჩამოწრა ხდება მისი გაყიდვისთანავე ან როცა მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად მომავალი ეკონომიური სარგებლის მიღება ნავარაუდევია აღარ არის. აქტივის ბალანსიდან ჩამოწრით მიღებული მოგება ან ზარალი გათვალისწინებულია იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როცა აქტივის ჩამოწრა მოხდა.

აქტივების გადაკლასიფიცირება საინვესტიციო ქონებად ხდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდება აქტივის გამოყენებაში ცვლილება, რაც დასტურდება საკუთარი მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის აქტივის გამოყენების დასრულებით და მისი სხვა მხარისათვის იჯარით გადაცემით, ან იჯარით გადაცემის მიზნით მშენებარე აქტივის მშენებლობის დასრულებით. აქტივების გადაკლასიფიცირება საინვესტიციო ქონებიდან სხვა კლასებში ხდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდება აქტივის გამოყენებაში ცვლილება, რაც დასტურდება სხვა მხარისათვის იჯარით გადაცემის დასრულებით და აქტივის საკუთარი მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის გამოყენების დაწყებით, ან აქტივის გაყიდვისათვის მომზადების დაწყებით.

აქტივის საინვესტიციო ქონებიდან ძირითად საშუალებებში ან მარაგებში გადაკლასიფიცირებისას ამ აქტივის შემდგომი აღრიცხვის მიზნებისათვის მის თვითღირებულებად ჩაითვლება მისი ის რეალური ღირებულება, რომელიც ქონდა აქტივს გადაკლასიფიცირების მომენტში. ძირითადი საშუალებებიდან ან მარაგებიდან აქტივის საინვესტიციო ქონებად გადაკლასიფიცირებისას, ან საინვესტიციო ქონებად გამოსაყენებელი დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისას ნებისმიერი სხვაობა ამ აქტივის გადაკლასიფიცირების მომენტისათვის არსებულ თვითღირებულებასა და მის რეალურ ღირებულებას შორის ჩაირთვება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

10-დან 48-ე გვერდის ჩათვლით მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

### შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

#### C. არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ჯგუფი განიხილავს ხომ არ არის რაიმე ინდიკატორი იმისა, რომ აქტივები გაუფასურებულია. როდესაც ასეთი ნიშნები არსებობს, ჯგუფი ახდენს აქტივის აღდგენითი ღირებულების შეფასებას (გაუფასურების ტესტირებას). ზოგიერთი აქტივისათვის გაუფასურების ტესტირება ყოველწლიურად მოითხოვება და ამ აქტივებისთვის ჯგუფი ტესტირებას ატარებს ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის. აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გამოყენების ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უდიდესი და მისი შეფასება ხდება ცალკეული აქტივისათვის, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც აქტივი სხვა აქტივებისაგან დამოუკიდებლად ფულადი სახსრების ნაკადებს ვერ წარმოქმნის, რომელ შემთხვევაშიც აღდგენითი ღირებულების შეფასება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისათვის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის აღდგენითი ღირებულებას აქტივი მიიჩნევა გაუფასურებულად და მისი საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენით ღირებულებამდე. გამოყენების ღირებულების შეფასებისას აქტივიდან მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადების დისკონტირება მათ მიმდინარე ღირებულებამდე ხდება ისეთი სადისკონტო განაკვეთით, რომელიც შეესაბამება ბაზარზე დღეისათვის არსებულ ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს და ითვალისწინებს აქტივთან დაკავშირებულ სპეციფიურ რისკებს. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება შეფასების ის მეთოდი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება სიტუაციას.

გაუფასურების ზარალის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ხარჯების იმ კატეგორიაში, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება იმ ფუნქციას რისთვისაც ჯგუფი იყენებს გაუფასურებულ აქტივს.

ყოველწლიურად ხდება იმის განხილვა, ხომ არ არსებობს რაიმე პირობა ან მოვლენა რაც მიუთითებს, რომ წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალი აღარ არსებობს, ან შემცირებულია. თუ ასეთი ინდიკატორი არსებობს ხდება აქტივის აღდგენითი ღირებულების შეფასება. წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოხდა ცვლილებები იმ შეფასებებში რომლებიც გამოყენებული იყო გაუფასურების ზარალის წინა შეფასებისას. თუკი ეს მართლაც ასეა, მაშინ აქტივის ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გაიზრდება მისი აღდგენითი ღირებულების ახალ მნიშვნელობამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც აქტივს ექნებოდა, რომ არ ყოფილიყო წინა წლებში მისი ღირებულება შემცირებული გაუფასურების შედეგად. გაუფასურების ზარალის აღდგენა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი გადაფასებული ღირებულებით იყო ასახული, რა შემთხვევაშიც გაუფასურება განიხილება, როგორც გადაფასების გაზრდა.

#### D. ინვესტიციები და სხვა ფინანსური აქტივები

ჯგუფი საკუთარი ინვესტიციების კლასიფიცირებას შემდეგი კატეგორიების სახით ახდენს: (1) ფინანსური აქტივები, რომელთა რეალური ღირებულების კორექტირება ხდება მოგების ან ზარალის ანგარიშზე; და (2) სესხები და მისაღები თანხები; კლასიფიკაცია დამოკიდებულია ინვესტიციების თავდაპირველი შეძენის მიზნებზე.

ფინანსური აქტივები, რომელთა რეალური ღირებულების კორექტირება ხდება მოგების ან ზარალის ანგარიშზე ორ ქვეკატეგორიად იყოფა: სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური აქტივები და ფინანსური აქტივები, რომლებიც შეძენისას კლასიფიცირდნენ იმ ფინანსური აქტივებად რომელთა რეალური

**შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)**

**D. ინვესტიციები და სხვა ფინანსური აქტივები (გაგრძელება)**

ღირებულების კორექტირება ხდება მოგების ან ზარალის ანგარიშზე. ესეთი აქტივები თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით და შემდგომში გადაანგარიშდება და წარედგინება რეალური ღირებულებით. ამ აქტივების რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სესხები და მისაღები სახსრები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ესეთი სახის ინვესტიციები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც არის გადაცემული აქტივების რეალური ღირებულების ტოლი და მასში აგრეთვე ჩაირთვება ტრანზაქციასთან დაკავშირებული დანახარჯებიც.

სესხები და მისაღები სახსრები თავდაპირველი აღიარების შემდეგ წარედგინება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. გაცემული სესხები ბალანსში წარედგინება საექვო ვალების რეზერვის გამოკლებით. ყველა გაცემული სესხი და გადახდილი ავანსები აღიარდება მსესხებლისთვის თანხების გადაცემისთანავე.

### შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

#### E. სადაზღვევო მოთხოვნები

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მოთხოვნები და მათი გაუფასურების განხილვა ხდება მოთხოვნების გაუფასურების ტესტირების ფარგლებში.

სადაზღვევო მოთხოვნები აღიარდება პოლისის გაცემისას და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. სადაზღვევო მოთხოვნების საბალანსო ღირებულების გაუფასურების განხილვა ხდება როგორც ინდივიდუალური ბალანსების დონეზე, აგრეთვე ჯამურად იმ ნაშთებზე, რომლებიც არ მოხვდნენ ინდივიდუალურ განხილვაში. გაუფასურების განხილვა ხდება იმ შემთხვევაში თუკი მოვლენები ან გარემოებები მიუთითებენ, რომ ჯგუფმა შესაძლოა სრულად ვერ ამოიღოს მოთხოვნებიდან კუთვნილი თანხები. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### F. გადავადებული აკვიზიციური ხარჯები

პერიოდის განმავლობაში გაწეული ის პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სადაზღვევო კონტრაქტების მოზიდვასთან ან განახლებასთან, გადავადდება მომავალ პერიოდებზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოსალოდნელია, რომ ეს დანახარჯები მომავალში ანაზღაურდება მიღებული სადაზღვევო პრემიებიდან. ყველა სხვა აკვიზიციური ხარჯები აღიარდება ხარჯებად იმ პერიოდში, როდესაც იქნა გაწეული.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ საერთო დაზღვევისა და ჯანმრთელობის დაზღვევის გადავადებული აკვიზიციური ხარჯები ამორტიზირდება იმ პერიოდის განმავლობაში, რა პერიოდშიც ხდება დაკავშირებული შემოსავლების გამომუშავება. გადაზღვევის წილი გადავადებულ აკვიზიციურ ხარჯებში ამორტიზირდება იმავენაირად, როგორც მასთან დაკავშირებული აქტივი.

გადავადებული აკვიზიციური ხარჯების გაუფასურების განხილვა ხდება ყოველწლიურად, როდესაც გადავადებული აკვიზიციური ხარჯების საბალანსო ღირებულება აღემატება მის აღდგენით ღირებულებას ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გადავადებული აკვიზიციური ხარჯები გაითვალისწინება ვალდებულებების ადეკვატურობის ტესტირებში, რომელიც ყოველწლიურად ტარდება. გადავადებული აკვიზიციური ხარჯების აღიარება წყდება, როდესაც დაკავშირებული სადაზღვევო კონტრაქტი დასრულდება.

#### G. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ბალანსში მოიცავს ხალზე არსებულ ფულად ნაშთებსა და მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებს, რომელთა თავდაპირველი ვადა 3 თვე ან ნაკლებია. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისათვის ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ზემოთაღწერილ ნაშთებს, რომლებიც შემცირებულია საბანკო ოვერდრაფტებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

#### H. სადაზღვევო პროდუქტების კლასიფიკაცია

სადაზღვევო კონტრაქტები

სადაზღვევო კონტრაქტები, რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს მათი გაფორმების მომენტისთვის, ან კონტრაქტები, რომელთა გაფორმებისას შესაძლოა კომერციული თვალსაზრისით ისინი შეიცავდნენ მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს.



### შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

#### H. სადაზღვევო პროდუქტების კლასიფიკაცია (გაგრძელება)

სადაზღვევო რისკის მნიშვნელობა დამოკიდებულია როგორც სადაზღვევო შემთხვევის ალბათობაზე, ასევე მისი პოტენციური ეფექტის მასშტაბზე. თუ კონტრაქტი იქნა კლასიფიცირებული, როგორც სადაზღვევო კონტრაქტი, იგი დარჩება სადაზღვევო კონტრაქტად მისი ხანგრძლივობის მანძილზე, მაშინაც კი, თუ სადაზღვევო რისკი შემცირდება აღნიშნული პერიოდის განმავლობაში.

#### I. სადაზღვევო ვალდებულებები

##### *საერთო დაზღვევის სადაზღვევო ვალდებულებები*

სადაზღვევო კონტრაქტის ვალდებულება გულისხმობს ყველა იმ ზარალის პირობით სრულ ღირებულებას, რომელიც მოხდა, თუმცა არ დარეგულირებულა ანგარიშგების თარიღისთვის, მიუხედავად იმისა, გაცხადდა თუ არა ის, ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებულ ხარჯებთან, ნარჩენის პირობით ღირებულებასა და სხვა სახის ანაზღაურებასთან ერთად. ზოგიერთი ტიპის სადაზღვევო შემთხვევისას შესაძლოა მოხდეს გაცხადებისა და ანაზღაურების მნიშვნელოვანი შეფერხება, ყველაზე ხშირად ვალდებულების დაზღვევის სახეობაში, სადაც შესაძლოა საანგარიშო თარიღისთვის ზარალის სრული ღირებულება ზუსტად ცნობილი არ იყოს.

ზარალებისა და მათი ცვლილების ხარჯები გაცხადებისას აღირიცხებიან ხარჯებში დაზღვეულის ან მესამე მხარის მიმართ არსებული პირობითი ვალდებულების საფუძველზე. ისინი მოიცავენ სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებს, იმ შემთხვევებისთვის, რომლებიც მოხდნენ ბალანსის თარიღამდე, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მათი გაცხადება. კომპანია არ ამცირებს ვალდებულებებს გადაუხდელი ზარალების გამო, გადაუხდელი ზარალების ვალდებულებების პირობითი თანხის გამოთვლა ხდება გაცხადებული სადაზღვევო შემთხვევების ინდივიდუალური შეფასებითა და მომხმდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების სტატისტიკური ანალიზით.

##### *გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი*

მოზიდული პრემიის ნაწილი, ისევე როგორც გადასახდელი სააგენტო საკომისიოს თანხის ნაწილი, რომელიც გათვალისწინებულია შემდგომი პერიოდებისთვის, განსაზღვრულია როგორც მისი სრული თანხის გამოუმუშავებელი ნაწილი. ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში აისახება შემოსავლებში რისკის პერიოდის გასვლის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შესაბამისობის შემოწმება (იხილეთ ქვემოთ) აჩვენებს, რომ ჯამური სადაზღვევო რისკი არ შეესაბამება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს, ხდება მისი გაზრდა, რათა არსებული ჯამური ვალდებულება მთლიანად დაიფაროს მოზიდული პრემიის გამოუმუშავებელი ნაწილით.

##### *ვალდებულების შესაბამისობის შემოწმება*

ყოველი საბალანსო თარიღისთვის, ტარდება ვალდებულების შესაბამისობის შემოწმება, გამოუმუშავებელი პრემიების საკმარისობის უზრუნველსაყოფად, გადავადებული აკვიზიციური ხარჯის აქტივების გამოკლებით. შემოწმებისას გამოიყენება მომავალი ფულადი ნაკადების, ზარალების მართვის, პოლისის ადმინისტრირებისა და საინვესტიციო შემოსავლის საპროგნოზო მარჯვენებლები.

### შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

#### I. სადაზღვევო ვალდებულებები (გაგრძელება)

შემოწმება გამოიყენება მოსალოდნელი სამომავლო ზარალებისა და ამასთან დაკავშირებული პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად, და დაზღვევის თითოეული სახეობის ვალდებულებებთან შესადარებლად. ტესტირება ხორციელდება ცალკე დაურეგულირებელი ზარალებისა და ცალკე მომავალი ზარალებისთვის, სადაც ხდება ამ უკანასკნელის შედარება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვთან, DAC-ს გამოკლებით, თუ ზარალებისა და ხარჯების მოსალოდნელი ღირებულება უფრო მაღალია, მაშინ DAC და/ან შესაბამისად, იზრდება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის მოცულობა.

#### J. სესხები

სესხები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება მიღებული თანხების რეალური ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ ყველა პროცენტის სესხი ასახულია ამორტიზებული ღირებულებით. ამორტიზირებული ღირებულების დათვლისას გაითვალისწინება ყველა ფასდაკლება ან დაფარვაზე პრემია, ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი შემოსავალი თუ ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში ამორტიზაციის პროცესში.

#### K. სესხთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხებთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია განსაკუთრებული აქტივის შექმნასთან, აშენებასთან ან შექმნასთან კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის ღირებულებაში.

#### L. ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ჯგუფი განიხილავს ხომ არ არის რაიმე ინდიკატორი იმისა, რომ რომელიმე ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულია.

ამორტიზირებული ღირებულებით ასახული აქტივები

თუკი არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ სესხები და დებიტორული მოთხოვნები გაუფასურებულია, გაუფასურების ზარალი იზომება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ამ აქტივიდან მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელთა დისკონტირება ფინანსური აქტივის თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით არის გაკეთებული. ჯგუფი თავდაპირველად გაუფასურების არსებობის მტკიცებულებებს განიხილავს ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივისათვის ცალკე და შემდეგ უკვე იმ აქტივებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად (ცალკე) მნიშვნელოვანნი არ არიან, განხილვა ხდება ჯგუფურად ან შესაძლოა ინდივიდუალურადაც. თუ დადგინდება, რომ კონკრეტული ინდივიდუალური ფინანსური აქტივი გაუფასურებული არ არის, მაშინ იგი ჩაირთვება მისი მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და შემდეგ ხდება ამ მთელი ჯგუფის გაუფასურების განხილვა ერთობლიობაში. აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად იყო განხილული გაუფასურების არსებობაზე და რომლებისთვისაც დამტკიცდა გაუფასურების არსებობა, აღარ ჩაირთვებიან აქტივების ჯგუფებში გაუფასურების ერთობლივი ჯგუფური განხილვისათვის.

### შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

#### I. ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

თუკი, სასესხო ინსტრუმენტებისათვის შემდგომ პერიოდში დადგინდება, რომ გაუფასურების ზარალი შემცირებულია და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებებით თავდაპირველი გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენებზე, რომლებიც ამცირებენ გაუფასურებას, მაშინ წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილობრივ ამოტრიალდება (რევერსდება). გაუფასურების ზარალის აღდგენა აღიარდება მოგება/ზარალში, მაგრამ ისე, რომ აქტივის ხელახლა გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც აქტივს ექნებოდა, რომ არ ყოფილიყო წინა წლებში მისი ღირებულება შემცირებული გაუფასურების შედეგად.

#### M. სხვა რეზერვები

სხვა რეზერვები (ანარიცხები) აღიარდება როდესაც ჯგუფს აქვს წარსული მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), სავარაუდოა, რომ ჯგუფს მოუწევს მოვალეობის დასაფარად ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გაცემა და მოვალეობის თანხის საკმარისად საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

#### N. იჯარა

იმის განსაზღვრა, არის თუ არა ხელშეკრულება საიჯარო ხელშეკრულება, ან მოიცავს თუ არა იგი საიჯარო ურთიერთობებს, ეფუძნება ხელშეკრულების შინაარსს და მოითხოვს იმის შეფასებას არის, თუ არა ხელშეკრულების შესრულებისთვის აუცილებელი პირობა რაიმე კონკრეტული აქტივის გამოყენება და იძლევა, თუ არა ხელშეკრულება ამ აქტივის გამოყენების უფლებას.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ფინანსური იჯარა, რომლის დროსაც ჯგუფს გადმოეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, კაპიტალიზირდება იჯარის დაწყების მომენტში იჯარით მიღებული აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით, ან თუკი საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება აქტივის რეალურ ღირებულებაზე ნაკლებია, მაშინ საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით. სალიზინგო გადასახდელები გადანაწილდება ფინანსურ ხარჯებად და სალიზინგო ვალდებულების ძირი თანხის შემცირებაზე გადახდილ თანხებად, ისეთნაირად, რომ ფინანსური ხარჯების ოდენობა შეესაბამებოდეს საიჯარო გადასახდელების ნაშთზე მუდმივი საოპროცენტო განაკვეთით დათვლილ პროცენტს.

ფინანსური იჯარით აღებულ კაპიტალიზირებულ აქტივებს ცვეთა ერიცხება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და საიჯარო ხელშეკრულების ვადას შორის უმცირესი ვადის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარის დანახარჯები აღიარდება ხარჯებად მოგება-ზარალში იჯარის ვადის განმავლობაში.

#### O. შემოსავლების აღიარება

შემოსავლები აღიარდება როდესაც შესაძლებელია შემოსავლის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს. შემოსავლების აღიარებისათვის უნდა დაკმაყოფილდეს აგრეთვე აღიარების შემდეგი სპეციფიკური კრიტერიუმები:

### შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

#### О. შემოსავლების აღიარება (გაგრძელება)

##### შემოსავალი სადაზღვევო პრემიიდან

არასიცოცხლის დაზღვევის მოზიდული პრემია აღიარდება პოლისის გაცემის მომენტში და პერიოდის შემოსავალში აღიარდება, როგორც გამომუშავებული პრემია პოლისის მოქმედების ვადის პროპორციულად („პრო-რატა“ საფუძველზე).

##### საინვესტიციო შემოსავლები

საპროცენტო შემოსავლები აღიარდება მოგება-ზარალში გამომუშავებისთანავე, აქტივის ეფექტური პროცენტის ან შესაფერისი მცურავი განაკვეთის გათვალისწინებით (განაკვეთი, რომელიც აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ფულად შემოსულობებს ზუსტად ადისკონტირებს აქტივის დღევანდელ ღირებულებამდე). საპროცენტო შემოსავლები მოიცავს ნებისმიერი შეღავათების დისკონტების თუ გადახდაზე პრემიების ამორტიზაციასაც.

საოპერაციო იჯარით გაცემული საინვესტიციო ქონებიდან მიღებული საიჯარო შემოსავლები აღიარდება შემოსავლად იჯარის პერიოდის განმავლობაში წრფივი მეთოდით. იჯარასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა სარგებელიც აღიარდება, როგორც საიჯარო შემოსავლის ნაწილი.

##### რეალიზებული მოგებები და ზარალები

ძირითადი საშუალებებისა და გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების რეალიზაციით მიღებული გამომუშავებული მოგება ან ზარალი დაიანგარიშება, როგორც სხვაობა აქტივის გაყიდვიდან მიღებულ ფულსა და გაყიდული აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას შორის. გამომუშავებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში რეალიზაციის ოპერაციის განხორციელებისას.

#### P. საერთო დაზღვევა

- a. ზოგადი სადაზღვევო ბიზნესის მომგებიანობა განისაზღვრება ყოველწლიურად.
- b. პრემიების აღრიცხვა ხდება დარიცხვის საფუძველზე.
- c. გამომუშავებული პრემიის რეზერვი და გადაზღვევის წილი გამომუშავებულ პრემიაში გამოითვლება ყოველდღიურად. გამომუშავებული პრემიების რეზერვი და ნებისმიერი გადავადებული აკვიზიციური ხარჯი, რომელიც არ არის გამოსახული მოქმედ ვალუტაში, აღიქმება არა-მონეტარულ აქტივად, უცხოური ვალუტის კონვერსიის მიზნით.

### შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

#### P. საერთო დაზღვევა (გაგრძელება)

- d. საკომისიოს და სხვა აკვიზიციური ხარჯების შეფარდება გამოუმუშავებელ პრემიასთან მიმართებაში აისახება გადავადებული აკვიზიციური ხარჯების სახით. გადავადებული ხარჯები გამოითვლება რეალური განაკვეთების გამოყენებით. იმ სადაზღვევო პროდუქტებში, სადაც ზარალიანობის მაჩვენებლები არ იძლევიან ყველა ან რომელიმე ხარჯის გადავადების საშუალებას, კომპანია აკორექტირებს გადავადებულ აკვიზიციურ ხარჯებს.
- e. სადაზღვევო ზარალები მოიცავენ მათ დარეგულირებისა და მართვის ხარჯებს გაცხადებული ზარალებისთვის და ასევე წინა წლებში გაცხადებული და ასანაზღაურებელი ზარალების ვალდებულებების კორექტირებებს. ნებისმიერი ასეთი შესწორება ასახულია შემოსავალ-ხარჯებში.
- f. ასანაზღაურებელი ზარალების ვალდებულებების მოცულობა დგინდება როგორც ბალანსის თარიღისთვის გაცხადებული ზარალის მოსალოდნელი ღირებულებისთვის, ასევე ბალანსის თარიღისთვის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის მოსალოდნელი ღირებულებისთვის (IBNR). შესაძლოა დროის მნიშვნელოვანი პერიოდი გავიდეს, სანამ მოხდება ზარალის ზუსტი ღირებულების დადგენა. გადამზღვევის წილი ასანაზღაურებელ ზარალებში დამოკიდებულია გადაზღვევის ხელშეკრულებების პირობებზე. აღნიშნული თანხების პირობითი რაოდენობის გამოთვლა ხდება ინდივიდუალურად თითოეული შემთხვევისთვის, ექსპერტების და/ან სტატისტიკური-სადაზღვევო ტექნიკის გამოყენებით, იქიდან გამომდინარე, თუ რა უფრო მეტად შეესაბამება თითოეულ სადაზღვევო პროდუქტს.

#### Q. გადაზღვევა

- a. კომპანია ახორციელებს გადაზღვევას ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, საკუთარ თავზე დატოვებული რისკის ლიმიტები კი განსხვავებულია სადაზღვევო პროდუქტების მიხედვით. გადამზღვევის წილი სადაზღვევო ვალდებულებებსა და ასანაზღაურებელ ზარალებში წარმოდგენილია განცალკევებულად კომპანიის ბალანსში, საკრედიტო დანაკარგების კორექტირებების გამოკლებით, მენეჯმენტის პირობითი შეფასებების მიხედვით.
- b. გადამზღვევის ვალდებულება კომპანიის მიმართ არ ათავისუფლებს კომპანიას ვალდებულებებისგან დაზღვეულთა წინაშე. გადამზღვევმა, რომელიც არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, გადაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში, შესაძლოა დიდი ზარალი მოუტანოს კომპანიას.
- c. სადაზღვევო რისკის შემცირების მიზნით, კომპანია იყენებს გადაზღვევის პროგრამას. გადაზღვევის ბიზნესის დიდი ნაწილი ეფუძნება პროპორციულ და ასევე გადაზღვევის კვოტაზე/დანაკარგის ექსცედენტზე დამყარებულ პრინციპს, საკუთარ თავზე დატოვებული სადაზღვევო რისკის ლიმიტები კი განსხვავებულია სადაზღვევო პროდუქტებისა და ტერიტორიის შესაბამისად (ბიზნესის საავიაციო ხაზისთვის, კომპანია აფორმებს დაზღვევას მხოლოდ ფაკულტატიური დაფარვით, მნიშვნელოვანი თანხის დაკავების გარეშე). გადამზღვევთაგან ასანაზღაურებელი თანხების რაოდენობის პირობითი მოცულობა განისაზღვრება იგივე გზით, როგორც ეს პოლისის სავარაუდო მოგების დადგენის შემთხვევაში ხდება და ისინი აღირიცხებიან ბალანსში როგორც გადაზღვევის აქტივები. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას გაფორმებული აქვს გადაზღვევის ხელშეკრულებები, იგი არ თავისუფლდება პირდაპირი ვალდებულებებისგან პოლისის მფლობელთა მიმართ, აქედან გამომდინარე, საკრედიტო რისკი არსებობს გაფორმებულ გადაზღვევასთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლოა ნებისმიერმა გადამზღვევმა ვერ შეძლოს, გადაზღვევის ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულება.

### შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

#### Q. გადაზღვევა (გაგრძელება)

გადაზღვევის გაფორმება ხდება მაღალი რეიტინგის კომპანიებთან და რისკის კონცენტრაციის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება მათი დაწესებული ლიმიტები, რომელთა დადგენა ხდება ყოველწლიურად და ისინი რეგულარულად გადაიხედებიან. ყოველი წლის დასასრულს, მენეჯმენტი ახდენს გადაზღვევის გადახდისუნარიანობის შეფასებას, გადაზღვევის შესყიდვის სტრატეგიის განახლების და გადაზღვევის აქტივებისთვის გაუფასურების შესაბამისი ზღვარის დადგენის მიზნით.

#### R. საპროცენტო ხარჯები

საპროცენტო ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალში დარიცხვის მეთოდით ყველა პროცენტთან ინსტრუმენტებზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯები მოიცავს ყველა ფასდაკლების და დაფარვაზე პრემიის ამორტიზაციასაც. საპროცენტო ხარჯები მოიცავს საბანკო სესხებზე დარიცხულ პროცენტებს, ბონდებზე საპროცენტო ხარჯებს და სხვა მსგავს დანახარჯებს.

#### S. საკომისიო ხარჯები

საკომისიო ხარჯები აღიარდება სისტემატურ საფუძველზე მომსახურების მიღების პერიოდის განმავლობაში.

#### T. გადასახადები

მოგების მიმდინარე გადასახადი

მოგების მიმდინარე გადასახადი დაითვლება მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანად არის აღიარებული საბალანსო ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით, აქტივების საგადასახადო დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის ყველა დროებით განსხვავებაზე.

გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება აღიარდება ყველა დროებით განსხვავებაზე გარდა:

- იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება წარმოიშება გუდვილის თავდაპირველი აღიარების შედეგად ან სხვა აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას ისეთი ტრანზაქციის შედეგად, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და როდესაც ესეთი აღიარება გავლენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც სააღრიცხვო მოგებაზე;
- შვილობილ, ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციებთან დაკავშირებულ დროებით განსხვავებებზე, როდესაც დროებითი განსხვავებების გაქვითვის დრო შესაძლებელია გაკონტროლდეს და მოსალოდნელია, რომ ეს დროებითი განსხვავება განჭვრეტად მომავალში არ გაიქვითება.

### შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

#### T. გადასახადები (გაგრძელება)

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი აღიარდება ყველა გამოსაქვით დროებით სხვაობაზე და მომავალ პერიოდებში გამოყენებად აკუმულირებულ საგადასახადო ზარალებზე იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველწლიურად გადაიხედება და თუკი დადგინდება, რომ მომავალში ჯგუფს არ ექნება საკმარისი დასაბეგრი მოგება გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენებისათვის, აქტივის ღირებულება შესაბამისად მცირდება. აუდიარებელი გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი, ასევე ყოველი ბალანსის თარიღისათვის გადაიხედება და თუკი დადგინდა, რომ მომავალში ჯგუფს ექნება საკმარისი დასაბეგრი მოგება აუდიარებელი გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენებისათვის, მაშინ აქტივი აღიარდება.

გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისთვის დადგენილი განაკვეთებით და იმ განაკვეთების გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ დადგენილი იქნება, მაშინ როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულებების დაფარვა.

პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ ელემენტებთან დაკავშირებული გადავადებული მოგების გადასახადი აღიარდება ასევე პირდაპირ კაპიტალში და არა მოგება-ზარალში.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთის საპირისპიროდ იქვითება, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვის ლეგალური უფლება და ეს აქტივები და ვალდებულებები ჯგუფში ერთი და იგივე საწარმოს კუთვნიან.

#### U. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება

როდესაც ფინანსური ინსტრუმენტებისათვის არ არსებობს აქტიური ბაზარი ჯგუფი მათი რეალური ღირებულების შეფასებას ახდენს საშემფასებლო ტექნიკების გამოყენებით, რომლებიც რამდენადაც ეს შესაძლებელია, ეფუძნება ბაზარზე არსებულ ხელმისაწვდომ მონაცემებს უახლოესი პერიოდის მსგავს ტრანზაქციებზე.

ისეთ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც რეალური ღირებულების საკმარისად საიმედოდ შეფასება ვერ ხერხდება ფინანსური ინსტრუმენტები წარდგენილია თვითღირებულებით, რომელიც არის აქტივის შეძენისას გადაცემული სარგებლის რეალური ღირებულება, ან ფინანსური ვალდებულების შემთხვევაში, ამ ვალდებულების გამოშვებისას მიღებული თანხა. თუ არსებობს გაუფასურების მნიშვნელოვანი ინდიკატორები, ღირებულება მცირდება. გაუფასურების ნებისმიერი თანხა აისახება მოგება-ზარალში. ისეთი ფინანსური აქტივების შეძენასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული ფინანსურ აქტივებად, რომელთა რეალური ღირებულების ცვლილებები აისახება მოგება-ზარალში, ჩაირთვება აქტივების თვითღირებულებაში.

ჯგუფმა დაადგინა, რომ ფულის და ფულის ეკვივალენტების, მოთხოვნების და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი ამორტიზირებული ღირებულებისაგან.

**შენიშვნა 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, დაშვებები და მსჯელობები**

*შეფასებები და დაშვებები*

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის მიხედვით მენეჯმენტისგან სააღრიცხვო შეფასებებს და მსჯელობების გამოყენებას მოითხოვს, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებში წარდგენილი პირობითი ვაკლდეზულებების თანხებზე აისახება. მსჯელობები, რომელიც განსაკუთრებულად აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომელმაც შესაძლოა აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება გამოიწვიოს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს:

*გადავადებული გადასახადები*

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი აღიარდება მომავალ პერიოდში გამოყენებად აკუმულირებულ საგადასახადო ზარალებზე იმ ფარგლებში რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მომავალში იქნება დასაბეგრი მოგება, რომელის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის ასაღიარებელი ოდენობის შეფასება ხელმძღვანელობისაგან მოთხოვს მსჯელობებს და მომავალი საგადასახადო მოგებების შეფასებების გაკეთებას.

*შეფასებების გაკეთებისათვის საჭირო დაშვებები*

საერთო და ჯანმრთელობის დაზღვევის სადაზღვევო ვალდებულებების დათვლაში მრავალი სხვადასხვა დაშვების გაკეთება აუცილებელია. საერთო დაზღვევაში ძირითადი დაშვება ისაა, რომ ზარალების წარსული სტრუქტურა მომავალშიც ასეთი იქნება. სადაზღვევო ვალდებულებების შეფასებისას გამოყენებული დაშვებები ასახავს სადაზღვევო ზარალების იმ შეფასებებს, რომელსაც ხელმძღვანელობა, შესაძლებლობის ფარგლებში და მისი ცოდნის და რწმენის საფუძველზე, საუკეთესოდ მიიჩნევს.

**შენიშვნა 5. გადავადებული მოგების გადასახადი**

გადავადებული მოგების გადასახადის კომპონენტები	31-12-2011	31-12-2010
	GEL'000	GEL'000
სადაზღვევო ვალდებულებები	964	704
სხვა მოთხოვნები	1,182	1,010
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	(218)	-
გასაყიდად არსებული გრძელვადიანი აქტივი	156	156
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები	(81)	-
სხვა დებიტორები და კრედიტორები	14	-
ირაო მედის გადავადებული ზარალი	467	-
<b>სულ</b>	<b>2,483</b>	<b>1,870</b>

**გადავადებული მოგების გადასახადის ნაშთი მოძრაობა:**

	31-12-2011	31-12-2010
	GEL'000	GEL'000
წლის დასაწყისში	1,870	853
ზრდა / (კლება)	613	1,017
<b>წლის ბოლოს</b>	<b>2,483</b>	<b>1,870</b>



შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო  
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
 ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
 2011 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 თანხები მოცემულია ათას ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

**შენიშვნა 6. ძირითადი საშუალებები**

	მიწა და შენობა ნაგებობები	დაუმთავრე ლი შენებლობა	კაპიტალი ზირებადი ხარჯები	ავტომანქა ნები	საოფის ე ალქურე ილობა	საავადმყო ფოს დანადგარ ები	სულ
<b>2011</b>							
<b>თვითღირებულება</b>							
1 იანვარი 2011	196	499	242	166	576	-	1,680
დამატება	12,298	-	-	16	247	-	15,551
გასვლა/რეკლასიფიკაცია	-	(499)	-	-	-	2,990	(499)
<b>31 დეკემბერი 2011</b>	<b>12,495</b>	<b>-</b>	<b>242</b>	<b>182</b>	<b>823</b>	<b>2,990</b>	<b>16,732</b>
<b>ცვეთა</b>							
1 იანვარი 2011	20	-	97	26	190	-	332
პერიოდის ხარჯი	60	-	48	59	137	47	351
აკუმულირებული ამორტიზაცია გასულ აქტივებზე							
<b>31 დეკემბერი 2011</b>	<b>80</b>	<b>-</b>	<b>145</b>	<b>85</b>	<b>327</b>	<b>47</b>	<b>684</b>
<b>საბალანსო ღირებულება</b>							
1 იანვარი 2011	176	499	145	140	386	-	1,348
<b>31 დეკემბერი 2011</b>	<b>12,415</b>	<b>-</b>	<b>97</b>	<b>98</b>	<b>496</b>	<b>2,943</b>	<b>16,049</b>
<b>2010</b>							
<b>თვითღირებულება</b>							
1 იანვარი 2011	119	-	242	138	390	-	889
დამატება	138	499	-	28	187	-	852
გასვლა/რეკლასიფიკაცია	(61)	-	-	-	-	-	(61)
<b>31 დეკემბერი 2011</b>	<b>196</b>	<b>499</b>	<b>242</b>	<b>166</b>	<b>576</b>	<b>-</b>	<b>1,680</b>
<b>ცვეთა</b>							
1 იანვარი 2011	8	-	48	7	115	-	179
პერიოდის ხარჯი	12	-	48	19	75	-	153
აკუმულირებული ამორტიზაცია გასულ აქტივებზე	-	-	-	-	-	-	-
<b>31 დეკემბერი 2011</b>	<b>20</b>	<b>-</b>	<b>97</b>	<b>26</b>	<b>190</b>	<b>-</b>	<b>332</b>
<b>საბალანსო ღირებულება</b>							
1 იანვარი 2011	111	-	193	131	275	-	710
<b>31 დეკემბერი 2011</b>	<b>176</b>	<b>499</b>	<b>145</b>	<b>140</b>	<b>386</b>	<b>-</b>	<b>1,348</b>

შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო  
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
 ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
 2011 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 თანხები მოცემულია ათას ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

**შენიშვნა 7. გადაზღვევის აქტივები**

**შემადგენლობა**

გადამზღვეველის წილი გამოუმუშავებელ პრემიაში (\*)  
 გადამზღვეველის წილი ზარალების რეზერვებში (\*\*)

31-12-2011	31-12-2010
GEL'000	GEL'000
1,576	14,284
840	1,543
<b>2,415</b>	<b>15,827</b>

(\*) გამოუმუშავებელ პრემიაში გადამზღვეველის წილის ცვლილება

ნაშთი 1 იანვრისათვის  
 გადამზღვეველის წილი მოზიდულ პრემიაში  
 გამოუმუშავება

2011 წელი	2010 წელი
GEL'000	GEL'000
14,284	7,367
538	26,443
(13,246)	(19,527)
<b>1,576</b>	<b>14,283</b>

ნაშთი 31 დეკემბრისათვის

(\*\*) ზარალების რეზერვებში გადამზღვეველის წილის ცვლილება

ნაშთი 1 იანვრისათვის  
 გადამზღვეველის წილი დამდგარ ზარალებში  
 გადამზღვეველის მიერ ანაზღაურებული ზარალები  
 ნაშთი 31 დეკემბრისათვის

2011 წელი	2010 წელი
GEL'000	GEL'000
1,543	1,006
926	3,159
(1,629)	(2,622)
<b>840</b>	<b>1,543</b>

**შენიშვნა 8. სადაზღვევო მოთხოვნები**

მოთხოვნები მისაღებ პრემიაზე, სრული  
 მინუს: საეჭვო ვალების რეზერვი

31-12-2011	31-12-2010
GEL'000	GEL'000
14,891	16,584
(6,371)	(3,733)
<b>8,520</b>	<b>12,851</b>

**შენიშვნა 9. გადავადებული აკვიზიციური ხარჯი**

გადავადებულ აკვიზიციურ ხარჯებში ცვლილებები

ნაშთი 1 იანვრისათვის

ცვლილება

ნაშთი 31 დეკემბრისათვის

2011 წელი	2010 წელი
GEL'000	GEL'000
854	1,844
(204)	(990)
<b>650</b>	<b>854</b>

შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო  
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
 ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
 2011 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 თანხები მოცემულია ათას ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

**შენიშვნა 10. სესხები და მისაღები პროცენტები**

	2011 წლის GEL'000	December 31, 2010 GEL'000
მესამე მხარეზე გაცემული სესხები	131	29
თანამშრომლების სესხები	3	5
	<b>134</b>	<b>34</b>
მესამე მხარეზე გაცემული სესხების პროცენტი	15	57
თანამშრომლების სესხების პროცენტი	96	214
	<b>111</b>	<b>271</b>
<b>სესხები და მისაღები პროცენტები</b>	<b>245</b>	<b>305</b>

**შენიშვნა 11. წინასწარ გადახდები**

	31-12-2011 GEL'000	31-12-2010 GEL'000
დარიცხვები	36	58
მედიკამენტების შესაძენად გადახდილი ავანსები	-	60
წინასწარ გადახდილი გადასახადები	316	39
დაგროვილი შემოსავალი (პირითადად რეგრესები)	311	1,185
მარაგები	158	-
ავანსები გადახდილი შესყიდვაზე, მომწოდებლებზე და სხვა.*	6,450	3,419
	<b>7,271</b>	<b>4,760</b>

\*-ავანსები გადახდილი შესყიდვაზე, მომწოდებლებზე და სხვა მოიცავს წინასწარ გადახდილ თანხებს ირაოს სათაო ოფისის სამშენებლო სამუშაოებისთვის, რაც საბალანსო ღირებულებით შეადგენს 4,964 ათას ლარს.

**შენიშვნა 12. ფული და ფულის ეკვივალენტები**

	31-12-2011 GEL'000	31-12-2010 GEL'000
ნაღდი ფული	19	36
ფული ბანკში	2,795	2,863
	<b>2,814</b>	<b>2,899</b>
<b>განწილება ვალუტებში:</b>		
ლარი	589	1,429
დოლარი	110	728
ევრო	2,115	741
სხვა ვალუტა	-	1
	<b>2,814</b>	<b>2,899</b>

შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო  
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
 ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
 2011 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 თანხები მოცემულია ათას ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

**შენიშვნა 13. კაპიტალი**

	დეკემბერი 31, 2011		დეკემბერი 31, 2011	
	წილი	GEL'000	წილი	GEL'000
TBIH Financial Services Group N.V.	100%	6,388	90%	3,798
ვასილ ახრახაძე			10%	422
	<b>100%</b>	<b>6,388</b>	<b>100%</b>	<b>4,220</b>

**შენიშვნა 14. სადაზღვევო ვალდებულებები**

2011 წელი				
პროდუქტები	გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	გაცხადებული მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი	მომხადარი მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი	სულ სადაზღვევო ვალდებულებები
მესამე პირის პასუხისმგებლობა				
აკასკო	60	65	-	125
ავტო კასკო	665	47	25	737
ტვირთები	250	19	-	269
ქონება	1,391	571	-	1,962
უბედური შემთხვევა	42	4	-	46
ავიაცია	-	-	-	-
ვადლებულებები	41	-	-	41
ჯანმრთელობა				
კორპორატიული ჯანმრთელობა	588	660	300	1,548
სახელმწიფო სიცოცხლე	6,162	1,644	1,493	9,299
სხვა	104	50	-	50
		552	-	657
<b>სულ</b>	<b>9,303</b>	<b>3,611</b>	<b>1,818</b>	<b>14,733</b>

10-დან 48-ე გვერდის ჩათვლით მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო  
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
 ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
 2011 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 თანხები მოცემულია ათას ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

**შენიშვნა 14. სადაზღვევო ვალდებულებები (გაგრძელება)**

2010 წელი				
პროდუქტები	გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	გაცხადებული მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი	მომახადარი მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი	სულ სადაზღვევო ვალდებულებები
მესამე პირის პასუხისმგებლობა				
აკასკო	63	42	10	115
ავტო კასკო	435	371	74	880
ტვირთები	106	10	-	116
ქონება	19	1,421	145	1,585
უბედური შემთხვევა	281	2	-	283
გარანტიები	869	1,436	10	2,315
ვალდებულებები	8,672	75	9	8,756
ჯანმრთელობა				
კორპორატიული ჯანმრთელობა	635	456	335	1,427
სახელმწიფო	8,331	1,725	726	10,782
სიცოცხლე	300	30	-	330
სხვა	5,090	29	-	5,119
<b>სულ</b>	<b>24,801</b>	<b>5,597</b>	<b>1,309</b>	<b>31,707</b>

**A. სადაზღვევო კონტრაქტი და გადავადებული აკვიზიციური ხარჯები ზოგად დაზღვევაში**

A-1 სხვადასხვა სახის სადაზღვევო ვალდებულებებისა და გადავადებული აკვიზიციური ხარჯების განსაზღვრის მეთოდები

ზოგად დაზღვევაში არსებული რისკებისა და ასანაზღაურებელი ზარალების ცვლილების, გადაშლდევის წილის ჩათვლით, და გადავადებული აკვიზიციური ხარჯების ცვლილების დაანგარიშება ხდება ზოგადად აღიარებული აქტუარული მეთოდების მეშვეობით, სადაზღვევო აქტუარის შეხედულების შესაბამისად. კომპანიამ დაიანგარიშა რეზერვები წინა წელს გამოყენებული პრინციპების შესაბამისად, გარდა IBNR-სა, სადაც ასევე გამოიყენა უფრო კონსერვატიული მიდგომა (იხ. ქვემოთ).

**გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი**

გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი ეფუძნება მოზიდულ პრემიას და გამოითვლება პროპორციულობის საფუძველზე, პოლისის მომავალი პერიოდის შესაბამისად, რომლის პრემიაც იქნა მოზიდული.

**ასანაზღაურებელი ზარალების რეზერვი**

ასანაზღაურებელი ზარალების შეფასება:

ჯამური ასანაზღაურებელი ზარალებისა და მათი გადაზღვევის წილის დაანგარიშება ხდება აქტუარის მიერ. ამ რეზერვებში შედის გაცხადებული და დაურეგულირებელი ზარალისა RBNS და მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალების IBNR რეზერვები.

RBNS შექმნილია უკვე გაცხადებული ზარალებისთვის და მოიცავს მათთან დაკავშირებულ დარეგულირებისა და მართვის ხარჯებსაც. მათი მოცულობა ეფუძნება ზარალების ინდივიდუალურ შეფასებას, რომელიც ხდება კომპანიის ექსპერტებისა და ზარალების მართვის დეპარტამენტის შეხედულებით.

გარდა მარეგულირებელი ორგანოების მიერ განსაზღვრული ლიმიტებისა და წესებისა, კომპანია იყენებს ასევე აქტუარულ მეთოდებს IBNR რეზერვის დათვლისას. მარეგულირებელი წესების შესაბამისად დათვლილი ეს რეზერვი ტოლია წლის მოზიდული პრემიის 5%-ის, რაც ხშირად არ არის საკმარისი რეზერვის აქტუარული დათვლების შედეგად მიღებული მოცულობისათვის. IBNR-ის აქტუარული გამოთვლის მეთოდი მოიცავს ისეთ კალკულაციებს, როგორცაა CHAIN LADDER და საშუალო გადახდას თითოეული ზარალის ტიპისთვის ან ზოგიერთ შემთხვევაში ზარალიანობის კოეფიციენტის მეთოდი გამოიყენება, თუ სტატისტიკური მეთოდი არ ამართლებს. აქტუარები იყენებენ დაშვებებს იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რაც მათ დაუგროვდათ გადახდილი ზარალების, ზარალების რაოდენობისა და სასუალო მაჩვენებლების სახით. დაშვებები საშუალებას იძლევა შექმნას საკმარისი IBNR, მოსალოდნელი ნარჩენი ღირებულებები და ზარალის დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების მოცულობები (იხ. ქვემოთ მეტი დეტალიზაციისთვის).

მთლიანი დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი მოიცავს ასევე არაპირდაპირ ან გადაუნაწილებელი ზარალის დარეგულირების ხარჯებსაც, რომელიც ეფუძნება ზარალების ადმინისტრირების დეპარტამენტების მიმდინარე ხარჯების დონეს და იგეგმება ზარალების მომავალი ქვეყის შესაბამისად.

#### გადავადებული აკვიზიციური ხარჯები

საკომისიოს ნაწილი და სხვა აკვიზიციური ხარჯები, რომლებიც უკავშირდებიან მოზიდული პრემიის გამოუმუშავებელ ნაწილს, გადაიტანება შემდეგ საანგარიშო პერიოდში, როგორც გადავადებული აკვიზიციური ხარჯები. მათი დაანგარიშება ხდება ყოველწლიური აკვიზიციის კოეფიციენტის საფუძველზე.

### რეზერვების დადგენისას გამოყენებული გამოთვლები და მოდელები

#### გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი

ზემოხსენებული „გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი“ ფაქტიურად იანგარიშება სტატისტიკური მეთოდით და არ არის დამოკიდებული რაიმე გათვლაზე, რადგან იგი წარმოადგენს გამოუმუშავებელი პრემიის ბალანსს. თუმცა, როდესაც ნეტ გამოუმუშავებელი პრემიის ნაწილი DAC-ს გამოვლებით არ არის საკმარისი მოსალოდნელი ზარალების და მათთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად, აქტუარის პირობით გათვლებზე დაყრდნობით, ხდება DAC-ს შემცირება ან ამოწურავი რისკების რეზერვის გაზრდა, საჭიროებისამებრ. აღნიშნული ხორციელდება დაზღვევის სახეობის მიხედვით.

#### ასანაზღაურებელი ზარალების რეზერვი

ასანაზღაურებელი ზარალების შესაფასებლად ან ზარალების დეპარტამენტებისთვის თითოეულ

ზარალზე გათვალისწინებული რეზერვის შესაქმნელად IBNR-სთვის, ხდება ქვემოთ განმარტებული სტატისტიკური მოდელების გამოყენება სხვადასხვა გამოთვლებთან კომბინაციაში:

ჯაჭვისებური კიბე: ეს მეთოდი ეფუძნება ზარალების ისტორიას (ანაზღაურებების სიხშირე და/ან პრეენზიების სიხშირე, ზარალების რაოდენობა და ა.შ.) ამჟამინდელი და სამომავლო ზარალების სავარაუდო გაცხადების შესაფასებლად. აღნიშნული მეთოდის გამოყენება ითვალისწინებს იმ ზარალებისათვის შესაბამისი რეზერვის შექმნას, რომელიც გაცხადდება ზარალის მოხდენიდან ან პოლისის გაცემიდან საკმარისი დროის გასვლის შემდეგ და სადაც დაგროვილია საკმარისი ინფორმაცია არსებული ზარალებიდან, მოსალოდნელი ზარალების შეფასების მიზნით.

ბომპუტერ-ფერგიუსონი (ან მისი მოდიფიცირებული ვერსია): ეს მეთოდი აერთიანებს კომპანიისთვის, ან სადაზღვევო პროდუქტისათვის ცნობილ ადრეულ პირობით მაჩვენებლებს, და თავად ზარალებზე დაფუძნებულ, დამატებით პირობით მაჩვენებლებს. ადრეული მიახლოებითი მაჩვენებლები იყენებენ პრემიების და დანაკარგების ინდექსს, ზარალების საერთო რაოდენობის შესაფასებლად. მეორე პირობითი მაჩვენებელი იყენებს ზარალების ფაქტიურ რაოდენობას, რომლის დაანგარიშება სხვა მეთოდით ხდება (მაგალითად ჯაჭვისებრი კიბით). ზარალების გაერთიანებული შეფასებისას კი ხდება ორივე პირობითი მაჩვენებლის გაანალიზება, მაშინ როდესაც ფაქტიურად არსებულ ზარალებს მეტი წონა ენიჭებათ, და დროის სვლასთან ერთად ზარალებთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია გროვდება. აღნიშნული მეთოდის გამოყენება ყველაზე შესაფერისია მიმდინარე პერიოდისთვის, თუ არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია ზარალების შესახებ, იმ სადაზღვევო პროდუქტებში, რომელიც ან ახალია ან არასაკმარისი ისტორიული სტატისტიკური მასალა გააჩნია.

საშუალო ანაზღაურება ზარალზე: მაშინ როდესაც ბომპუტერ-ფერგიუსონის მეთოდის გამოყენება შეუძლებელია, უკანასკნელ პერიოდში ზარალების ისტორიის უკმარისობის გამო, გამოიყენება ისტორიული საშუალო არითმეტიკულის მეთოდი. ამ მეთოდში, ინფორმაცია გამოითვლება ზარალების პროგნოზირებად რიცხვზე დაყრდნობით (ჯაჭვისებური კიბის მეთოდი) და ზარალების ისტორიული საშუალო არითმეტიკულის მოცულობით.

შესაბამისი სტატისტიკური მეთოდის შერჩევა დაზღვევის თითოეული ხაზისთვის და თითოეული სადაზღვევო/კალენდარული წლისთვის განისაზღვრება მეთოდის შესაბამისობის გააზრებით, აღნიშნულ ერთად არსებობენ მეთოდების სხვადასხვა კომბინაციებიც.

ზოგიერთი სადაზღვევო პროდუქტისთვის (მაგ. საავტომობილო ვალდებულება მესამე მხარის წინაშე), ხდება ზარალების დისკონტირება, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ზარალების უმრავლესობის ანაზღაურება დროის ძალიან მოკლე პერიოდში ხდება, და ძალიან ცოტა ზარალი რჩება ასანაზღაურებელი 2 ან 3 წელიწადზე მეტ პერიოდზე.

ასანაზღაურებელი ზარალების რეზერვის განსაზღვრისას არ ხდება დეტალური გამოთვლების ჩატარება, გარდა ზოგადი, ფართოდ აპრობირებული გაანგარიშებისა, რომ ზარალების გაცხადებასთან და მის ანაზღაურების ფაქტორებთან დაკავშირებით განმეორდება წარსულის გამოცდილება, მხოლოდ იმ ცვლილებებით, რაც შეიძლება გამოიწვიოს ზარალების სიხშირემ და ხარისხმა, რეგულაციების ცვლილებებმა, პოლისის პირობებმა, კლიენტურის შემადგენლობამ და სხვა ფაქტორებმა. ყველა სხვა დაშვება ხდება თითოეული ზარალის მიხედვით, ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა ზარალის დავის მოგების ალბათობა.

2011 წელს მოხდა ცვლილება IBNR რეზერვის დათვლის მოდელში, რამაც გამოიწვია დამატებითი 1,232 ლარის რეზერვის შექმნა იმ მაჩვენებლათან შედარებით, რომელიც იქნებოდა თუ ისევ ძველი მეთოდი გამოიყენებოდა გაანგარიშებისას. ამ მოდელის ცვლილება გახდა აუცილებელი გამომდინარე 2012 წლის პირველ პერიოდში გაცხადებული შედარებითი დიდი ზარალებიდან, ვიდრე 2011 წლის ანალოგიურ პერიოდში.

ვალდებულების შესაბამისობის შემოწმება ხორციელდება კომპანიის მიერ ზოგადი დაზღვევის ვალდებულებებთან დაკავშირებით, ქვემოთ მოცემულის შესაბამისად:

ა) ვალდებულებათა დაზღვევის უმრავლესობაში (მაგალითად სატრანსპორტო და ჯანმრთელობის დაზღვევის ბიზნესისთვის) ასანაზღაურებელი ზარალებისათვის გადაზღვევის წილის, ნარჩენისა და კომპენსაციის გამოკლებით, ტარდება აქტუარული ანალიზი, იმისათვის, რომ დადგინდეს შექმნილი რეზერვი საკმარისია (შესაბამისი აქტივების გამოკლებით) თუ არა სამომავლო ზარალებისათვის. თუ რეზერვები არასაკმარისია, ხდება მათი გაზრდა მოგება-ზარალის გავლით.

ბ) ვალდებულებათა დაზღვევის სახეობების უმრავლესობაში (მაგალითად სატრანსპორტო და ჯანმრთელობის დაზღვევის ბიზნესისთვის), დაურეგულირებელი ზარალების რისკების (გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს გამოკლებული DAC) შესაფასებლად ხდება აქტუარული გათვლები მომავალი ზარალიანობის კოეფიციენტის შესაბამისად არსებულ, ძალაში მყოფ კონტრაქტებზე. თუ მოსალოდნელი ზარალიანობის კოეფიციენტი აჩვენებს, რომ გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს გამოკლებული DAC არაადეკვატურია, ხდება DAC-ს შემცირება, და საჭიროების შემთხვევაში გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის გაზრდა იმ დონემდე, სანამ ის ადეკვატური გახდება ჯამური მოსალოდნელი რისკისა.

გ) სხვა სადაზღვევო პროდუქტებისთვის, კომპანია აანალიზებს წინა წლების ზარალიანობის კოეფიციენტს მიმდინარე პარამეტრებთან მიმართებაში და ადგენს რომ სხვა დანაკარგები მოსალოდნელი არ არის, და აქედან გამომდინარე, გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი DAC-ის გამოკლებით ადეკვატურია. ასანაზღაურებელ ზარალებთან დაკავშირებით რეზერვი ადეკვატურად ჩაითვალა, რადგან რეზერვი დგინდება თითოეულ გაცხადებულ ზარალზე, და აღნიშნული რეზერვები გადაიხედება ყოველწლიურად, სულ მცირე, მათი ადეკვატურობის უზრუნველსაყოფად და ამ სადაზღვევო პროდუქტებისათვის IBNR არამატერიალურია, გამომდინარე იქიდან, რომ მოხდენასა და გაცხადებას შორის პერიოდი ძალზედ მცირეა.

*A-2 ასანაზღაურებელი ზარალების მოძრაობა ზოგად დაზღვევაში (გროსი)*

	2011	2010
	GEL'000	GEL'000
<b>ნაშთი 1 იანვრისათვის</b>	6,906	7,199
გაცხადებული ზარალები	19,262	22,561
გადახდილი ზარალები	(20,738)	(22,854)
<b>ნაშთი 31 დეკემბრისათვის</b>	<b>5,430</b>	<b>6,906</b>

ვალდებულების ადეკვატურობა - თუ ჯამური რეზერვი გადავადებული აკვიზიციური ხარჯების გამოკლებით, საკმარისია სამომავლო სავარაუდო ფულადი ნაკადების დასაფარად; პრემიებს გამოკლებული ზარალები, მოქმედი პოლისების აკვიზიციისა და ადმინისტრირების ხარჯები, მიზანშეწონილი გათვლების ფარგლებში. თუ ვალდებულება არაადეკვატურია, ხდება DAC-ს ჩამოწერა (გასული პერიოდების გათვალისწინებით) ან შემცირება (მიმდინარე პერიოდების ახალი DAC-ს გათვალისწინებით).

*A-3 გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვების მოძრაობა ზოგად დაზღვევაში (გროსი):*

	2011	2010
	GEL'000	GEL'000
<b>ნაშთი 1 იანვრისათვის</b>	24,801	26,755
მოზიდული პრემია	20,243	52,941
გამომუშავებული პრემია	(35,741)	(54,895)
<b>ნაშთი 31 დეკემბრისათვის</b>	<b>9,303</b>	<b>24,801</b>



**B. ცვლილებები დაშვებებსა და აქტუარულ მოდელებში და მათი გავლენა რეზერვებზე**

2011 წელს მოხდა ცვლილება IBNR რეზერვის დათვლის მოდელში, რამაც გამოიწვია დამატებითი 1,232 ლარის რეზერვის შექმნა იმ მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც იქნებოდა, თუ ისევ ძველი მეთოდი გამოიყენებოდა გაანგარიშებისას. ამ მოდელის ცვლილება გახდა აუცილებელი გამომდინარე 2012 წლის პირველ პერიოდში გაცხადებული შედარებით დიდი ზარალებიდან, ვიდრე 2011 წლის ანალოგიურ პერიოდში.

**შენიშვნა 15. სესხები**

	31 დეკემბერი, 2011	31 დეკემბერი, 2010
	GEL'000	GEL'000
დამფუძნებლებისგან აღებული სესხის ძირი	23,421	7,704
ადგილობრივი ბანკებისგან აღებული სესხის ძირი	4,940	-
დამფუძნებლებისგან აღებული სესხის პროცენტი	973	188
ადგილობრივი ბანკებისგან აღებული სესხის პროცენტი	39	-
<b>სულ სესხები</b>	<b>29,374</b>	<b>7,892</b>

აღებული სესხები საგრძნობლად გაიზარდა წინა პერიოდთან შედარებით, რაც ძირითადად გამოწვეული იყო საავადმყოფოების მშენებლობის პროექტით, რაც მოიცავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 6 საავადმყოფოს აშენება/რეაბილიტაციის პროცესს. აღნიშნული პროექტის მოლიანი ბიუჯეტი დაახლოებით 17 მილიონი ლარია რაც ძირითადად დაფინანსებულია გრძელვადიანი სესხებით დამფუძნებლებისგან. სესხების დეტალები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

გამსესხებელი	მსესხებელი	ვალუტა	ეფექტური საპრ. განაკვეთი	ვადიანობა	ძირი თანხის ნაშთი 31/12/2011
TBIH	IRAO	EURO	12M Eurribor +5%	< 3	18,706
Vienna Insurance Group	IRAO	EURO	8%	< 5	4,715
TBC ბანკი	IRAO	GEL	13%	< 1	4,800
ბაზის ბანკი	IRAO	GEL	14%	< 1	140
<b>სულ</b>					<b>28,361</b>

**შენიშვნა 16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

	31-12-11	31-12-10
	GEL'000	GEL'000
ვალდებულებები პერსონალისადმი	7	6
აგენტების საკომისიო	324	792
მიღებული ავანსები	-	394
გადასახდელი საოპერაციო გადასახადები	-	69
ავანსად მიღებული პრემია	79	61
გადამზღვევისთვის გადასახდელი რეგრესი	-	337
სხვა	769	2,142
<b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b>	<b>1,180</b>	<b>3,802</b>

შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო  
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
 ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
 2011 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 თანხები მოცემულია ათას ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

**შენიშვნა 17. წმინდა პრემია**

სადაზღვევო პროდუქტები	გროსს	ცვლილება	გადაზღვევის წილი გროსს პრემიაში	ცვლილება	წმინდა
	სადაზღვევო პრემია	მთლიან გამოუმუშავე ბელ პრემიაში		გამოუმუშავე ბელ პრემიის გადაზღვევის წილში	
	GEL'000	GEL'000	GEL'000	GEL'000	GEL'000
მესამე პირის პასუხისმგებლობა კასკო	122	3	8	(0)	3
ავტო კასკო	1,214	226	73	(162)	64
ტვირთები	518	49	322	(62)	(13)
ქონება	(24)	12,465	(37)	1,262	13,727
უბედური შემთხვევა	110	63	1	(15)	48
ავიაცია	-	19	-	-	19
ვალდებულებები	47	240	69	13	254
ჯანმრთელობა					
კორპორატიული	3,247	282	-	-	282
ჯანმრთელობა					
სახელმწიფო	14,804	1,618	-	(310)	1,309
სიცოცხლე	39	0	-	(12)	(11)
სხვა	166	531	101	(13,423)	(12,892)
<b>სულ:</b>	<b>20,243</b>	<b>15,498</b>	<b>538</b>	<b>(12,708)</b>	<b>2,790</b>

